OSTE-ის სრულმასშტაბიანი დანერგვის გეგმა
პროექტის შემდგომი მდგრადობის ჩარჩო პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის (GAU და თსსუ)

---

1. მიზანი და ამოცანები

OSTE (ობიექტურად სტრუქტურირებული სასწავლო პრაქტიკა) არის მაღალი სიზუსტის, ინოვაციური და სტრუქტურირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სწავლებისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებასა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

დოკუმენტის მიზანია, OSTE მეთოდოლოგიის გრძელვადიანი მდგრადობა და ინსტიტუციური ინტეგრაცია ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში (GAU) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (თსსუ). წარმოდგენილი გეგმა განსაზღვრავს ერთიან ჩარჩოს მომდევნო 1–2 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის და ასევე შესაძლებელია მისი ადაპტაცია სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

2. განხორციელების გეგმა (პროექტის დასრულების შემდეგ)

აქტივობა	დრო (თვე)	აღწერა/შენიშვნები
OSTE-ის განმახორციელებელი ჯგუფების ჩამოყალიბება	თვე 1	პასუხისმგებელი პირების დანიშვნა და როლების განსაზღვრა გაუ-სა და თსსუ-ში
სცენარების და შეფასების რუბრიკების ადაპტაცია	თვე 1–2	ლოკალიზაცია უნივერსიტეტების კონტექსტისა და კულტურის მიხედვით
მომზადებული სასწავლო მასალების დახარისხება	თვე 2	სახელმძღვანელოები, ვიდეოები, უკუკავშირის ფორმები და შეფასების ფურცლები

პილოტური ტრენინგის ჩატარება	თვე 3-4	პირველადი გამოყენება შერჩეული ფაკულტეტის ლექტორებთან
შედეგების ანალიზი და მასალების გადახედვა	თვე 4	უკუკავშირის შეგროვება და მასალების დახვეწა
OSTE-ის ინტეგრაცია ინსტიტუციურ დოკუმენტებში	თვე 4–5	QA დოკუმენტებში და აკადემიურ კალენდრებში ჩართვა
სისტემატური ტრენინგების დანერგვა	თვე 6	წელიწადში ორჯერ რეგულარული სესიები
დამატებითი ტრენერების მომზადება (Train-the-Trainer)	თვე 7	ექსპერტების გუნდის გაფართოება
ციფრული რესურსების პლატფორმის მართვა	თვე 9	ორენოვანი მასალების ატვირთვა ვებსაიტზე
OSTE-ის გაფართოება სხვა ფაკულტეტებზე	თვე 10–12	პილოტს მიღმა არსებული დეპარტამენტების ჩართვა
წლიური პროგრესის შეფასება	თვე 12	შედეგების შეჯამება და შიდა ანგარიში
ლექტორების წახალისების სქემის დანერგვა	თვე 13	აქტიური მონაწილეების წახალისება
რეგიონული ვებინარი ან მრგვალი მაგიდა	თვე 14	საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება ადგილობრივი და რეგიონული უნივერსიტეტებისთვის
მენტორობის გაგრძელება სხვა უნივერსიტეტებისთვის	თვე 15–18	ეროვნული და რეგიონული მასშტაბის მხარდაჭერა
ინსტიტუციური ქეის-სთადის გამოქვეყნება	თვე 18	OSTE-ის განხორციელების გამოცდილების შეჯამება

3. ინსტიტუციური ინტეგრაციის მექანიზმები

ა) პოლიტიკა და მმართველობა

- OSTE-ის ჩართვა აკადემიური განვითარების სტრატეგიებში;
- მონაწილეობა OSTE-ში — პროფესიული წინსვლის ერთ-ერთი ნაწილის სახით.

ბ) შესაძლებლობების გაძლიერება

- ტრენერებისა და სტანდარტიზებული როლის შემსრულებლების ჯგუფის მომზადება;
- ყოველწლიური “ტრენერების ტრენინგის” მოწუბა მდგრადობისთვის.

გ) ინფრასტრუქტურა და რესურსები

- პროექტის ფარგლებში შექმნილი სადგურების გამოყენება OSTE-ს სესიებისთვის;
- წვდომა სტანდარტიზებულ რესურსებთან, ვიდეო ჩანაწერებთან და ჩეკლისტებთან.

4. მონიტორინგი, შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფა

- შიდა შეფასების კომიტეტის ჩამოყალიბება;
- ინდიკატორებზე დაფუძნებული მონიტორინგი: მონაწილეობა, უკუკავშირი, სწავლების ხარისხი;
- ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნება განვითარებისთვის.

5. კომუნიკაცია და გავრცელება

- კომუნიკაციის შიდა სტრატეგიის შემუშავება;
- ორენოვანი მასალების შექმნა;
- დისემინაცია:
    - ინტერნეტვებინარები და სამუშაო შეხვედრები;
    - პრაქტიკული გზამკვლევებისა და ქეის-სთადების გამოქვეყნება;
- აქტიური ჩართულობა GIOSTE ქსელში.

6. რისკების მართვა

Potential Risk	Mitigation Measure
ლექტორთა დაბალი ჩართულობა	ადრეული ჩართვა, OSTE-ს მიზნების განმარტება
რესურსების ნაკლებობა	ბიუჯეტში ინტეგრაცია და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება
ხარისხის უზრუნველყოფის სირთულე	ტრენინგები და შეფასების სტანდარტიზაცია

7. გრძელვადიანი პერსპექტივა

გაუ და თსსუ — OSTE-ის სისტემური დანერგვით — გადაიქცევიან ლიდერ ინსტიტუტებად აკადემიური განვითარების სფეროში. მათ მიერ მიღწეული პროგრესი მოემსახურება როგორც შიდა ხარისხის გაუმჯობესებას, ისე რეგიონული მასშტაბის განათლების რეფორმასა და პროფესიული სწავლებების გაძლიერებას.